

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი აცხადებს ვაკანსიას აკადემიური პოზიციის დასაკავებლად:

1. საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- 1.1. პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად პირს უნდა ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი და სამეცნიერო - პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება არანაკლებ 6 წლის.
- 1.2. ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად პირს უნდა ჰქონდეს: დოქტორის კვალიფიკაცია ან მასთან გათანაბრებული ხარისხი და სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.
- 1.3. ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად პირს უნდა ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი.
- 1.4. აკადემიური თანამდებობები შეიძლება დაკავებულ იქნეს პროფესიული ნიშნით კვალიფიციური პერსონალის მიერ. ამ შემთხვევაში, პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

2. კონკურსი ცხადდება შემდეგი მიმართულებით:

- 2.1. ფიზიკა (1 ვაკანსია - პროფესორი);
- 2.2. მათემატიკა (1 ვაკანსია - ასოცირებული პროფესორი);
- 2.3. საერთაშორისო კერძო სამართალი (1 ვაკანსია - ასოცირებული პროფესორი);
- 2.4. სამეწარმეო სამართალი (1 ვაკანსია - ასოცირებული პროფესორი);
- 2.5. ფინანსები (1 ვაკანსია - ასისტენტ პროფესორი);
- 2.6. ეკონომიკა (2 ვაკანსია - ასისტენტ პროფესორი);
- 2.7. საერთაშორისო საჯარო სამართალი (1 ვაკანსია - ასისტენტ პროფესორი);
- 2.8. ადამიანის უფლებათა სამართალი (1 ვაკანსია - ასისტენტ პროფესორი);
- 2.9. ლიტერატურა და ხელოვნება (1 ვაკანსია - ასისტენტ პროფესორი).

3. განცხადებების მიღების ვადად განისაზღვროს **2018 წლის 13 აგვისტოდან - 2018 წლის 17 აგვისტოს ჩათვლით.**

4. განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს:

4.1. ბიოგრაფია (CV);

4.2. სამოტივაციო წერილი (1 გვერდი);

4.3. შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის პროექტი;

4.4. კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

4.5. პუბლიკაციების ჩამონათვალი;

4.6. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

5. დოკუმენტაციის მიიღება განხორციელდეს ელექტრონულად, შემდეგ ბმულზე - <https://form.jotform.me/60731571812452>

6. კონკურსი ჩატარდეს ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე შერჩევა განხორციელდეს წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ხოლო მეორე ეტაპზე ჩატარდეს გასაუბრება/საჩვენებელი ლექცია.

7. კონკურსის პირველი ეტაპი გაიმართოს **2018 წლის 18 აგვისტოდან - 2018 წლის 22 აგვისტოს ჩათვლით**, ხოლო გასაუბრება/ საჩვენებელი ლექცია საკონკურსო კომისიასთან ჩატარდეს **2018 წლის 23 აგვისტოდან - 2018 წლის 29 აგვისტოს ჩათვლით.**

8. შრომის ანაზღაურება და შრომის სხვა პირობები განისაზღვრება შერჩეულ პირთან შეთანხმების საფუძველზე. აკადემიურ პოზიციაზე არჩევა ხდება 4 წლის ვადით.

9. **საკონტაქტო ინფორმაცია:**

მისამართი: 0159, თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი # 240, კახა ბენდუქიძის საუნივერსიტეტო კამპუსი

ვებ-გვერდი: www.freeuni.edu.ge

ელ.მისამართი: Vacancy@freeuni.edu.ge